# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ორშაბათი, 26 იანვარი 1998 №10 (545) | ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მოსკოვში, აეროპორტიდან ცსკა-ს მანეჟისკენ მიმავალ გზაზე, ქართული ფეხბურთის ერთი დიდი ეპოქა დასრულდა — ნოდარ ახალკაცი გარდაიცვალა. წუთისოფელს გამოეთხოვა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ქართველთათვის ყველაზე დიდი სიხარულის მომნიჭებელი გუნდის თავკაცი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ქართული ფეხბურთისთვის, და არა მარტო მისთვის, უდავოდ გამორჩეული და გამოჩენილი პიროვნება, უეფას ტექნიკური კომიტეტის წევრი — ნოდარ ახალკაცი.

ეს ცნობა გუშინ ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს მსოფლიოში. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ნოდარ ახალკაცი მოსკოვში ძმის ორმოცის გამო ჩასულა. აეროპორტში მანქანა დახვედრია და ცსკა-ს მანეჟისკენ გაუწევიათ „დინამოს" მატჩზე დასასწრებად. მოულოდნელად კი... სააგენტო „როიტერის" ინფორმაციით, ნოდარ ახალკაცს გულმა უმტყუნა. თუმცა... ქართველებს კიდევ ერთხელ დაგვიდგა მძიმე დღეები.

მიმდინარე წელი ნოდარ ახალკაცისთვის მესამოცე გახლდათ.

სულ ახლახანს, 2 იანვარს, ბედობის დღეს, ნოდარ ახალკაცს სამოცწლიან იუბილეს ულოცავდნენ.

...სხვა აღარაფერი დაგვრჩენია — დიდი მადლობა, დიდი და უსაზღვრო სიხარულის მონიჭებისთვის. ნოდარ ახალკაცი რჩეულთა შორის რჩეული იყო, რომლის ხსოვნის წინაშეც ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი მოიხრის ქედს.



# ეპოქის დასასრული



„სარბიელის" არქივში მოძიებული ეს ფოტო ჩვენთვის დაუვიწყარ 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რაინშტადიონზეა" გადაღებული...

# დინამომ აზიელები დაჯაბნა

## მოსკოვში დაიწყო ტრადიციად ქცეული თანამეგობრობის თასის მეხუთე გათამაშება

თბილისის დინამოელებს კი, როგორც ჩანს, დაავიწყდათ ძველი მეგობრობა და პირველი მეტოქე, ყირგიზეთის „დინამო" სასტიკად დაამარცხეს — 7:0 (ხომერიკი, აშვეთია, გოგობერიშვილი, დიდავა, კიკნაძე, წიტაიშვილი, პეტრიაშვილი). ყირგიზებს მეკარე ზოიძე პირველ ტაიმში არ შეუწუხებიათ, ჩვენებმა კი არაერთი შესაძლებლობიდან მხოლოდ ოთხი გამოიყენეს. ყიფიანმა მეორე ნახევარში სათადარიგო მოთამაშეებსაც მისცა თავის გამოჩენის შანსი და შემდეგ უკვე მათ დაასრულეს მეტოქის განადგურება. აღსანიშნავია, რომ აშვეთიამ, წიტაიშვილმა და პეტრიაშვილმა დინამოური დებიუტი გოლებით აღნიშნეს.

დინამო: ზოიძე (ლომაია), დიდავა (არსოშვილი), ცქიტიშვილი, გუჩუა (ჯელაძე), ჩიხრაძე, ალექსიძე, კიკნაძე (კვარაცხელია), გოგობერიშვილი (პეტრიაშვილი), ხომერიკი, მუჯირი (გელაძე), აშვეთია (წიტაიშვილი)

ყირგიზელ სეხნიასთან გალაღებულ თბილისელებს მეორე დღეს ყაზახთა ჩემპიონმა „ირტიშმა" გვარიანი ბრძოლა გაუმართა და პირველი გოლიც მიითვალა. მერე აშვეთიამ და ხომერიკმა დააწინაურეს თანაგუნდელები, მაგრამ პირველ ტაიმში ყაზახებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. გადამწყვეტი გოლი კი მეორე ნახევარში გამოსულმა პეტრიაშვილმა გაიტანა და თბილისელებმაც გაიმარჯვეს — 3:2.

დინამო: ზოიძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გუჩუა, ჯელაძე, ალექსიძე, კიკნაძე, გოგობერიშვილი (პეტრიაშვილი), ხომერიკი (წიტაიშვილი), მუჯირი, აშვეთია (არსოშვილი) მცირე ტრამვის გამო ყიფიანმა ჩიხრაძის დასვენება ამჯობინა.

ჯგუფის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: „სკონტო" — „ირტიში" 3:0. „სკონტო" „დინამო" (ყირგიზეთი) 8:0. პირველობის ბედს „დინამო" — „სკონტოს" დღევანდელი მატჩი გაარკვევს.

აღსანიშნავია რომ ქართველებმა სხვა ქვეყნის ჩემპიონ გუნდებშიც ითამაშეს: გოგოლაძემ აშხაბადის „კოპეტდაღში", კალაძემ კიევის „დინამოში", გვარამაძემ, სილაგაძემ და რეხვიაშვილმა რიგის „სკონტოში", ბადრი კვარაცხელიამ კი განჯის „ქაფაზში". ამ უკანასკნელმა ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი, ტალინის „ფლორასთან" ფრედ — 2:2 დამთავრებულ შეხვედრაში აზერბაიჯანელთა ორივე გოლი სწორედ ყოფილმა მერანელმა მიითვალა.

მერაბ მამულაშვილი

# ავსტრალიას იმედი ბოდიში გაუცვალეს

როგორც ეტყობა, ავსტრალიის ღია პირველობის მოგებას მასპინძლები ვერც ამჯერად მოახერხებენ. ოზების მთავარმა იმედმა — ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონმა და მსოფლიოს მეორე ჩოგანმა პატრიკ რაფტერმა მესამე წრეში ოფლიც ბლომად ღვარა და სისხლიც, მაგრამ ტანმორჩილი ალბერტო ბერასატეგის წინააღმდეგობა ვერაფრით დაძლია. სამაგიეროდ, თავისიანები ტოდ ვუდბრიჯმა გაახარა: უძლიერესი მოწოდების პატრონი გრეგ რუზედსკიც გააგდო და წლევანდელ ოუფენს გინესის რეკორდებშიც მიუჩინა ადგილი — ამდენი განთესილი მერვედფინალამდე არასოდეს გავარდნილა.

იხილეთ მეოთხე გვერდი



პატრიკ რაფტერმა ოფლი და სისხლი ტყუილად ღვარა

# რეკორდები ჩემზე იყოს!

ეთიოპიელმა სტაიერმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰაილე გებრასელასიემ კვირას კარლსრუეში ჭერქვეშ 3000 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. 6000 მაყურებელი იყო მოწმე თუ როგორ გააუმჯობესა გებრასელასიემ მის მიერ 1996 წლის თებერვალში შტუტგარტში დამყარებული რეკორდი — მაშინ მორბენალმა იგივე მანძილი 7:30.72 წუთში დაფარა, ახალი მიღწევა კი 7:26.14 წუთია.

— ძალიან მიხარია, რეკორდი რომ გავაუმჯობესე. წელს სხვათა მიღწევების დამხობაზე ვიქნები კონცენტრირებული. რეკორდი ამჯერად ჭერქვეშ კი დავამყარე, მაგრამ დრო კიდევ მაქვს და ღია ცისქვეშაც ვეცდები შედეგების გაუმჯობესებას — განაცხადა რეკორდსმენმა.

მას მსოფლიოს რეკორდები 5000 და 10000 მეტრზე სირბილშიც დაუმყარებია, თუმცა ის მიღწევები გასულ აგვისტოს კენიელებმა — დანიელ კომენმა და პოლ ტერგატმა დაამხეს.

## საფრანგეთი

XXIV ტური

**მონაკო 4:0 მონპელიე**

1:0 ტრეზეგი (33), 2:0 ბენარბია (51), 3:0, 4:0 ტრეზეგი (76, 89)

**მეცი 0:1 ბასტია**

0:1 კოზნიკუ (41)

**პსჟ 0:2 ლე ავრი**

0:1, 0:2 პოჟე (23, 72)

**შატორუ 0:3 მარსელი**

0:1 ემუანი (31), 0:2 ბლანი (41), 0:3 გრავლენი (61)

**ტულუზი 1:2 ლანსი**

1:0 ტიეი (11), 1:1 შმიცერი (40, 60)

**ბორდო 4:4 სტრასბური**

1:0 მიკუ (17), 2:0 ლასლანდი (21), 2:1, 2:2 ნუმა (41, 44), 3:2 ლასლანდი (61), 3:3 სეინი (70), 4:3 მიკუ (72), 4:4 ოკპარა (81)

**რენი 2:0 კანი**

1:0 გუსე (17), 2:0 გრეგორი (84)

**ნანტი 2:0 გინგამი**

1:0 კაროტი (52), 2:0 გურვენეკი (68)

**ლიონი 1:0 ოსერი**

1:0 კოკარი (65)

ნაკრებში გამოძახება მაინც სულ სხვაა. კაცს ქვეყნის პირველ გუნდში მიწვევა ისე გაუხარდა, ერთბაშად სამი გოლი გაიტანა. ტრეზეგი მართლაც ნიჭიერი ბიჭია და მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში პირველად იხმეს, უეჭველია, კიდევ არაერთხელ დაამტკიცებს თავის სიძლიერეს.

„მონაკომ“ „მონპელიე“ არ დაინდო და 1998 წელს პირველი გამარჯვებაც მოიპოვა, 20 წლის ტრეზეგიმ კი 13 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

სანამ „მონაკო“ მეტოქეს ანადგურებდა, ლიდერებმა წააგეს. „ბასტიამ“, რომელიც ეტყობა, წინ წასულთა დამარცხების ხასიათზე მოვიდა, არც ჩემპიონატის ლიდერი „მეცი“ დაინდო და სტუმრად სძლია. ერთადერთი გოლი ხორვატმა ალან კოზნიკუმ შეაგდო, ფეხბურთელმა, რომელიც „ბასტიაში“ რამდენიმე დღის წინ გადავიდა.

„მეცის“ მდევარმა პსჟ-მ შვიდი წაუგებელი მატჩის შემდეგ ზედიზედ მეორე შეხვედრა დათმო. ლიდერის დარად, პარიზელებმაც „პარკ დე პრენსზე“ წააგეს. მასპინძლებს ორივე გოლი სირილ პოჟემ გაუტანა, რომელიც გასულ სეზონში სწორედ პსჟ-ს ღირსებას იცავდა.

— გონს ვერ მოვსულვართ. „ლე არვმა“ ბრწყინვალედ ითამაშა და დამსახურებულადაც იმარჯვა. ჩვენ კი არ ვიცი, რა დაგვემართა, შევეცდებით, უკანსვლა შევაჩეროთ, ასე არ უნდა გაგრძელდეს — განაცხადა პსჟ-ს დირექტორმა კლოდ ლეროიმ.

„ბასტიას“ სეზონის წინ დიდი ამბიციები არ გააჩნდა. მწვრთნელმა ფრედერიკ ანტონეტიმ ზაფხულში განაცხადა, დიდად კმაყოფილი ვიქნები, ევროტურნირებზე გასვლას თუ მოვახერხებთო. ახლა, კორსიკელთა ბოლო გამარჯვების ფონზე, თითქოს გუნდს ევროტურნირებზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს, რადგან მათ მიერ ბოლო ერთ კვირაში დატრიალებულმა ამბებმა ერთობ აურია შედარებით დალაგებული საფრანგეთის პირველობა. მარტო ის რად ღირს, რომ ლიდერთა ხუთეულს ერთმანეთისგან მხოლოდ ქულები აშორებთ, არადა, პირველობის დასრულებამდე მხოლოდ 10 ტური დარჩა.

— მართალი გითხრათ, არ მოველოდი, ამდენის გაკეთებას თუ შევძლებდით. ზედიზედ სძლიო ლიდერებს, ეს გუნდის ალღოძინებაზე მეტყველებს. მიხარია, ჩემპიონატს ინტრიგა რომ შევმატეთ, — განაცხადა „ბასტიას“ მწვრთნელმა ფრედერიკ ანტონეტიმ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 24 | 13 | 7 | 4 | 36:20 | 46 |
| მონაკო | 24 | 14 | 3 | 7 | 39:23 | 45 |
| მარსელი | 24 | 13 | 5 | 6 | 34:17 | 44 |
| პსჟ | 24 | 13 | 5 | 6 | 36:23 | 44 |
| ლანსი | 24 | 13 | 4 | 7 | 33:26 | 43 |
| ლიონი | 24 | 12 | 2 | 10 | 29:26 | 38 |
| ბორდო | 24 | 9 | 10 | 5 | 32:28 | 37 |
| ოსერი | 24 | 11 | 3 | 10 | 41:34 | 36 |
| ბასტია | 24 | 9 | 8 | 7 | 25:19 | 35 |
| მონპელიე | 24 | 7 | 9 | 8 | 24:28 | 30 |
| ნანტი | 24 | 8 | 5 | 11 | 23:28 | 29 |
| ტულუზი | 24 | 7 | 7 | 10 | 20:31 | 28 |
| ლე ავრი | 24 | 5 | 11 | 8 | 21:24 | 26 |
| გინგამი | 24 | 6 | 6 | 12 | 20:30 | 24 |
| რენი | 24 | 6 | 5 | 13 | 26:36 | 23 |
| შატორუ | 24 | 6 | 5 | 13 | 23:42 | 23 |
| სტრასბური | 24 | 5 | 7 | 12 | 28:37 | 22 |
| კანი | 24 | 6 | 4 | 14 | 23:41 | 22 |

## იტალია

XVII ტური

**ბარი 2:0 ნაპოლი**

1:0 მარკოლინი (73), 2:0 სალა (90)

**ბრეშა 2:1 პარმა**

1:0 უბნერი (16), 1:1 ფიორე (44), 2:1 უბნერი (603)

**ემპოლი 1:1 ინტერი**

1:0 ესპოზიტო (3), 1:1 რეკობა (81)

**იუვენტუსი 3:1 ატალანტა**

1:0 კონტე (64), 1:1 კაჩა (71), 2:1, 3:1, ზიდანი (72, 90)

**ლაციო 1:0 ბოლონია**

1:0 ნედვედი (41)

**მილანი 0:2 ფიორენტინა**

0:1 ოლივეირა (2), 0:2 მორფეო (52)

**პიაჩენცა 1:0 ლეჩე**

1:0 შიენძა (78)

**სამპდორია 1:1 რომა**

0:1 ტომაზი (26), 1:1 მიჰაილოვიჩი (34)

**უდინეზე 3:0 ვიჩენცა**

1:0, 2:0 ბირჰოფი (20, 37), 3:0 ლოკატელი (44)

# წინანი უკან



ბირჰოფმა ორი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა ლიდერ ბატისტუტას გაუტოლდა

„იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თავისი ფეხბურთელები შეაქო, სალ გონს არასოდეს ჰკარგავენო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გუშინ ტურინის გუნდმა ბერგამოს „ატალანტას“ 3:1 მოუგო და მიმდინარე სეზონში პირველად მოექცა ცხრილის სათავეში. ამგვარად, იტალიის ჩემპიონატის შუაწელში „იუვემ“ ერთი ქულით გადაასწრო „ინტერს“, რომელმაც ემპოლიში ძლივს იხსნა ქულა — საამისოდ ურუგვაელი ალვარო რეკობას მოედნის შუიდან გატანილი გოლი დასჭირდა 81-ე წუთზე.

ჩემპიონს მშობლიურ „დელე ალპიზე“ ორჯერ არ წაუხდა გუნება და მანამ იბრძოლა, სანამ საქმე სამ ქულამდე არ მიიყვანა. ჯერ იყო და 57-ე წუთზე ცნობილმა პენალტისტმა ალესანდრო დელ პიერომ თერთმეტი მეტრიდან ვერ გაიტანა — „ატალანტას“ მეკარემ ალბერტო ფონტანამ აუღო, მერე კი, 71-ზე ნიკოლა კაჩამ გაუქვითა. გაქვითვამდე, ბუნებრივია, „ბებერმა ქალბატონმა“ გახსნა ანგარიში. ანტონიო კონტემ დელ პიეროს პასი ბადეში შეაგდო, თუმცა ამ ეპიზოდში ფილიპო ინძაგი თამაშგარეში იდგა. თამაშგარე მსაჯმა არ აღნიშნა. როგორც მოგახსენეთ, „იუვენტუსი“ ბედს არ შეეგუა, ანჯელო დი ლივიომ ზინედინ ზიდანს ჩააწოდა და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმაც თავურით ისევ წინ გაიყვანა თავისიანები. ზიდანმა ერთი გოლი არ იკმარა და მსაჯის მიერ წამატებულ დროში 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ბერგამოელთა კარი კიდევ ერთხელ დალაშქრა.

„ინტერს“ კი, როგორც ჩანს, ცუდი პერიოდი დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატს პირველივე დღიდან ლიდერობდა, დღეს ალარაფრით ჰგავს გუნდს, რომელიც 12 შეხვედრას წაუგებლად ჩაივლის. წინა ტურში „ბარისთან“ საშინაო მარცხი მეტად მძიმე გამოდგა. გუშინ შავ-ლურჯები ნიწამხდარნი ჩანდნენ, განსაკუთრებით სუსტად კი დაცვამ ითამაშა. მილანელი უკანახაზელები კარმენე ესპოზიტოს გოლს თამაშის დაწყებიდან სამი წუთის შემდეგ, მეტად უსუსურად შეეგებნენ. 58-ე წუთზე მათ გაუმართლად კიდეც, მასიმილიანო კაპელინის დარტყმა ძელმა მოიგერია. თავის მხრივ, სტუმართა საუკეთესო შესაძლებლობა ქარს ჩილელმა ივან სამორანომ გაატანა, მაგრამ ბოლოს „ინტერმა“ მაინც გააყოლა ხელს ერთი ქულა. ზემოხსენებულმა რეკობამ შენიშნა, რომ „ემპოლის“ გოლკიპერი მარკო როკატი წინ იყო გამოსული და მარცხენა ფრთიდან უშორესი მანძილიდან დასაჯა ამისთვის.

„ინტერს“ სამი ქულით „უდინეზე“ ჩამორჩება. უდინელები 10 თამაშია, დაუმარცხებლად მიდიან. გუშინ მათ თასების თასის მეოთხედფინალისტი „ვიჩენცა“ 3:0 დაამარცხეს. აღნიშნული სამი გოლიდან ორი ოლივერ ბირჰოფმა გაიტანა, ორივე პირველ ტაიმში, რითაც სეზონში უკვე 14 მოიხვეჭა და ბომბარდირობისთვის ბრძოლაში „ფიორენტინას“ დიდ ფორვარდს, არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას გაუტოლდა.

ცნობილი რობერტო ბაჯო, მოგეხსენებათ, წინა ტურში მწვრთნელს, რენცო ულივიერის შემოსწყრა და გუნდის მიტოვება სცადა. წარსულაში კაშკაშა ვარსკვლავის წყენა იმან გამოიწვია, რომ ულივიერიმ იგი სათადარიგოთა სკამზე დასვა. ბაჯო „ბოლონიისა“ და „ლაციონ“ შეხვედრისას კვლავ სკამზე იჯდა. იგი საქმეში მე-40 წუთზე ჩართეს, როდესაც ბოლონიელმა რუსმა იგორ კოლივანოვმა ტრავმა მიიღო. მისი შესვლა იყო და რომაელმა ჩეხმა პაველ ნედვედმა „ლაციოს“ სასარგებლოდ მატჩის ერთადერთი გოლიც გაიტანა.

რომაულმა გუნდმა ჩემპიონატის და თასის ცხრა შეხვედრაში რვა მოგება ხორვატი ფორვარდის ალენ ბოკშიჩის და მისი იტალიელი კოლეგის პიერლუიჯი კაზირაგის გარეშე მოახერხა. ორივე ფეხბურთელი დაშავებულია.

თავდამსხმელმა დარიო უბნერმა, 30 წლისა სერია A-ში პირველ სეზონს რომ ატარებს, ორი გოლი შეაგდო, „ბრეშას“ „პარმასთან“ 2:1 მოაგებინა და ბომბარდირთა დავაში 11 გოლითაც ჩაერია.

ბელგიელი ბრაზილიელყოფილი ლუის ოლივეირა კი „ფიორენტინაში“ ნაღდი ბრაზილიელის ედმუნდოს აყვანას გოლით გამოეხმაურა. ფლორენციელებმა „მილანს“ 2:0 მოუგეს. მეორე გოლი დომენიკო მორფეომ შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 17 | 11 | 5 | 1 | 39:14 | 38 |
| ინტერი | 17 | 11 | 4 | 2 | 32:15 | 37 |
| უდინეზე | 17 | 10 | 4 | 3 | 33:25 | 34 |
| ლაციო | 17 | 9 | 4 | 4 | 30:15 | 31 |
| პარმა | 17 | 8 | 5 | 4 | 31:19 | 29 |
| ფიორენტინა | 17 | 7 | 6 | 4 | 36:20 | 27 |
| სამპდორია | 17 | 7 | 6 | 4 | 34:30 | 27 |
| რომა | 17 | 6 | 8 | 3 | 27:18 | 26 |
| მილანი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:18 | 24 |
| ბარი | 17 | 6 | 4 | 7 | 15:23 | 22 |
| ვიჩენცა | 17 | 6 | 3 | 8 | 19:33 | 21 |
| ბრეშა | 17 | 6 | 2 | 9 | 24:28 | 20 |
| პიაჩენცა | 17 | 3 | 8 | 6 | 14:21 | 17 |
| ბოლონია | 17 | 3 | 7 | 7 | 23:27 | 16 |
| ემპოლი | 17 | 4 | 4 | 9 | 22:30 | 16 |
| ატალანტა | 17 | 3 | 5 | 9 | 16:29 | 14 |
| ლეჩე | 17 | 3 | 2 | 12 | 13:34 | 11 |
| ნაპოლი | 17 | 1 | 3 | 13 | 13:42 | 6 |

### სერია B

მე-19 ტური. რეჯანა — პესკარა 1:0; ანკონა — ფოჯა 3:2; დი სანგრო — ტრევიზო 0:0; კოვო — კალიარი 2:1; ლუკეზე — ტორინო 3:1; პადოვა — ჯენოა 1:1; პერუჯა — მონცა 3:2; რავენა — ვერონა 1:1; სალერნიტანა — ფ.ანრია 1:1; ვენეცია — რეჯინა 4:0

## ესპანეთი

XXII ტური

**ატლეტიკო 3:0 ბილბაო**

1:0, 2:0 ვიერი (14, 49), 3:0 ანდრეი (78)

**სარაგოსა 1:1 მერიდა**

0:1 კლებერი (86), 1:1 არგონი (903)

**ესპანიოლი 0:0 ოვიედო**

**ბეტისი 2:0 სელტა**

1:0 იარნი (31), 2:0 ალექსისი (57)

**სოსიედადი 4:2 რეალი**

0:1 მორიენტესი (5), 1:1 კუბბაუერი (24), 2:1 დე პედრო (40), 3:1 კოვაჩევიჩი (47), 3:2 რობერტო კარლოსი (56), 4:2 არანსაბალი (76)

**ვალენსია 6:1 რასინგი**

1:0, 2:0, ილიე (3, 30), 3:0 ანგლომა (54), 4:0 ილიე (72), 5:0, 6:0 კ. ლოპესი (75, 80), 6:1 ნელსონი (88)

**დეპორტივო 3:1 ბარსელონა**

1:0 ფრანი (3), 2:0 აბრეუ (75), 3:0 ჯალმინია (83), 3:1 პიცი (85)

**სპორტინგი 1:3 მალიორკა**

0:1 ამატო (2), 1:1 ლედიახოვი (63), 1:2 გალვესი (26), 1:3 ვალერონი (77)

**ტენერიფე 5:1 კომპოსტელა**

1:0 კოდრო (22), 1:1 პენევი (263), 2:1 ლიორენტე (60), 3:1 კოდრო (65), 4:1 ლიორენტე (75), 5:1 სლოვაკი (87)

**სალამანკა — ვალიადოლიდი**

დღეს გაიმართება

„ბარსელონამ“ საუცხოო შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მან ლიდერს, „რეალს“ ვერ გადაასწრო— ორივე გუნდი დამარცხდა. უფრო ადრე მადრიდელებმა იწვნიეს მარცხი მესამე ადგილზე მყოფ სან სებასტიანის „რეალ სოსიედადთან“. ანგარიში მართალია დედაქალაქელთა თავდამსხმელმა ფერნანდო მორიენტესმა გახსნა მეხუთე წუთზე, მაგრამ მასპინძლებმა დიდი კუჰბაუერმა, ფრანსისკო დე პედრომ და დარკო კოვაჩევიჩმა სამი გოლით უპასუხეს. ამის შემდეგ გუნდებმა გოლები გაცვალეს, რობერტო კარლოსმა ანგარიში შეამცირა, ხოლო აგუსტინ არანსაბალმა სხვაობა ისევ ორბურთიანი გახადა. მასპინძლებმა სამი ქულა ბასკეთში დაიტოვეს

მადრიდელთა მარცხის შემდეგ „ბარსელონას“ ცხრილის სათავეში გადასვლის საუცხოო შანსი მიეცა. მას „დეპორტივო ლა კორუნია“ უნდა დაეძლია, მაგრამ ვერ მოახერხა. ანგარიში მასპინძელმა ფრანმა გახსნა. ფრანი თამაშის ბოლო წუთზე მოედნიდან გააგდეს, მაგრამ მანამდე მისმა თანაგუნდელებმა აბრეუმ და ჯალმინიამ „ბარსას“ ფორვარდის, ხუან პიცის საპასუხო გოლს აზრი დაუკარგეს.

გუშინდელ ტურში აღსანიშნავი გახლდათ „ვალენსიას“ ბრწყინვალე გამარჯვება სანტანდერის „რასინგთან“, სადაც ადრიან ილიემ ახალ გუნდში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 22 | 12 | 7 | 3 | 38:22 | 43 |
| ბარსელონა | 21 | 13 | 2 | 6 | 47:33 | 41 |
| სოსიედადი | 22 | 10 | 9 | 3 | 33:19 | 39 |
| ატლეტიკო | 22 | 10 | 7 | 5 | 46:28 | 37 |
| ბილბაო | 22 | 9 | 9 | 4 | 30:24 | 36 |
| სელტა | 22 | 10 | 4 | 8 | 31:27 | 34 |
| ესპანიოლი | 22 | 8 | 9 | 5 | 27:15 | 33 |
| ბეტისი | 20 | 9 | 6 | 5 | 28:25 | 33 |
| მალიორკა | 22 | 8 | 8 | 6 | 29:19 | 32 |
| სარაგოსა | 22 | 7 | 8 | 7 | 31:38 | 29 |
| ვალენსია | 22 | 8 | 4 | 10 | 31:29 | 28 |
| ოვიედო | 22 | 6 | 10 | 6 | 23:26 | 28 |
| რასინგი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:31 | 27 |
| დეპორტივო | 22 | 5 | 11 | 6 | 23:24 | 26 |
| ტენერიფე | 22 | 6 | 6 | 10 | 23:33 | 24 |
| მერიდა | 22 | 6 | 6 | 10 | 20:32 | 24 |
| ვალიადოლიდი | 20 | 6 | 5 | 9 | 19:28 | 23 |
| კომპოსტელა | 22 | 5 | 8 | 9 | 29:39 | 23 |
| სალამანკა | 21 | 5 | 6 | 10 | 17:25 | 21 |
| სპორტინგი | 22 | 0 | 3 | 19 | 18:51 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 14 |
| რივალდო (ბარსელონა) | 11 |
| კრისტიან ვიერი (ატლეტიკო) | 11 |
| კლაუდიო ლოპესი (ვალენსია) | 9 |
| დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 9 |
| ფერნანდო მორიენტესი (რეალი) | 9 |
| ლუბომირ პენევი (კომპოსტელა) | 9 |
| ალენ პეტერნაჩი (ვალიადოლიდი) | 9 |

### მეორე დივიზიონი

24-ე ტური. ვილიარეალი — რაიო 3:0; ტოლედო — ერკულესი 1:1; ალბასეტე — ოსასუნა 2:1; ეიბარი — ლევანტე 1:1; ლას პალმასი — ალავესი 4:0; ლეიდა — ლეგანესი 0:2; ორენსე — ატლეტიკო 3:4; ხაენი — სევილია 1:0; სერესი — ლოგრონიესი 0:0; ელჩე — ბადახოსი 0:1; ესტრემადურა — ნუმანსია 0:0

## ინგლისი

თასის მეოთხე წრის მატჩები

**მანჩესტერი 5:1 უოლსოლი**

1:0 კოული (10), 2:0 სოლსკიაერი (39), 3:0 კოული (65), 4:0 სოლსკიაერი (69), 4:1 ბოლი (72), 5:1 იონსენი (74)

**ასტონ ვილა 4:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 გრეისონი (4), 2:0, 3:0 იორკი (62, 64), 4:0 კოლიმორი (72)

**ქოვენთრი 2:0 დერბი**

1:0, 2:0 დაბლინი (38, 45)

**კრ. პალასი 3:0 ლესტერი**

1:0, 2:0, 3:0 დაიერი (33, 62, 66)

**ლიდსი 2:0 გრიმსბი**

1:0 მოლენაარი (45), 2:0 ჯიმი (79),

**მიდლსბრო 1:2 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (2), 0:2 პარლოუ (19), 1:2 მერსონი (62)

**ტოტენჰემი 1:1 ბარნსლი**

1:0 კემბელი (30), 1:1 რედფერნი (593)

**ტრანმერი 1:0 სანდერლენდი**

1:0 პარკინსონი (77)

**იფსვიჩი 1:1 შეფილდ იუნაიტედი**

1:0 ჯონსონი (45), 1:1 სონდერსი (82)

**ჰადერსფილდი 0:1 უიმბლდონი**

0:1 ერდლი (62)

**კარდიფი 1:1 რედინგი**

1:0 ნუჯე (47), 1:1 ასაბა (56)

**ბირმინგემი 2:1 სტოკპორტი**

1:0 ჰიუზი (32), 1:1 არმსტრონგი (66), 2:1 ჰიუზი (84)

**მანჩესტერ სიტი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 პარტსონი (28), 1:1 ქინქლაძე (60), 1:2 ლომასი (77)

**სტივენეიჯი 1:1 ნიუკასლი**

0:1 შირერი (27), 1:1 გრაციოლი (41)

**შეფილდ უენსდეი — ბლექბერნი**

დღეს გაიმართება

თასის გათამაშების ორი მატჩი გუშინ გაიმართა. გიო ქინქლაძის, მურთაზ შელიას და კახი ცხადაძის „სიტიმ“ „ვესტ ჰემს“ უმასპინძლა, თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ კი სტუმრად „სტივენეიჯს“ ხვდებოდა.

მანჩესტერში შუა ტაიმში მცველების შეცდომით ლონდონელებმა იხეირეს — ეილ ბერკოვიჩმა ზუსტად ჩააწოდა ბურთი კარისკენ დაძრულ ჯონ ჰარტსონს, მანაც არ დააყოვნა და ანგარიში გახსნა. შესვენებამდე მეტი არაფერი მომხდარა. მხოლოდ ქინქლაძემ დაარტყა ძლიერად დაახლოებით 30 მეტრიდან, მაგრამ ბურთმა მხოლოდ ძელი შეაზანზარა.

მეორე ტაიმში მანჩესტერელებმაც იხარეს — მოედნის ცენტრში თანაგუნდელისგან მიღებული პასის შემდეგ ქინქლაძემ საგოლე გზაზე ოთხი ლონდონელი ჩამოიშორა და გაათანაბრა. ქინქლაძემ მთელი შეხვედრა ფეხმტკივანმა ითამაშა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მასპინძელთა გააფთრებულ შეტევებს ლონდონელებმა მეტი რომ ვერაფრით უპასუხეს, უხეშობას მიმართეს — სტივ პოტსმა დიკოვი წააქცია საჯარიმოში. პენალტის დარტყმა როსლერმა ითავა, მაგრამ ააცილა. ვერ გაიტან, გაგიტანენო და ზუსტად წუთნახევარში მეინ როუდელები ექსსიტელმა გაწირა — სტივ ლომესმა ზუსტად დაჰკრა ბურთს ფეხი.

„ნიუკასლმა“ შედარებით გვიან ითამაშა და მაინც ვერ მოიგო, თუმცა არც წაუგია. პროვინციულ ქალაქში ინგლისის ვიცე-ჩემპიონთა სანახავად 8 ათასი ფანი შეიკრიბა, მაგრამ უეჭველია, 4 თებერვალს ამ მატჩის გადათამაშებას სულ მცირე, ორჯერ მეტი დაესწრება. მატჩს რაც შეეხება, ალან შირერმა პირველად ითამაშა ძირითადში და პირველი გოლი შეაგდო. სტუმართა უპირატესობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 41-ე წუთზე ჯულიანო გრაცისლიმ კუთხურიდან თავურით გაათანაბრა.

ქეცბაიას რაც შეეხება, მან ბოლო ნახევარი საათი ითამაშა.

გუშინვე გაიმართა კენჭისყრა. შემდეგ ეტაპზე შეხვდებიან: ასტონ ვილა — ქოვენთრი; ვესტ ჰემი — შეფილდ უენსდეი/ბლექბერნი; ლიდსი — ბირმინგემი; ნიუკასლი/სტივენეიჯი — ტრანმერი; უიმბლდონი — ჩარლტონი/ვულვერჰემპტონი; მანჩესტერ იუნაიტედი — ტოტენჰემი/ბარნსლი; არსენალი — კრისტალ პალასი; იფსვიჩი/შეფილდ იუნაიტედი — კარდიფ სიტი/რედინგი.

### პირველი დივიზიონი

გაიმართა ოთხი გადატანილი მატჩი: ბრედფორდი — სვინდონი 1:1; ოქსფორდი — პორტსმუთი 1:0; ქუინზ პარკი — ნოტინგემი 0:1; პორტ ვეილი — ქრიუ 2:3

# სეროზა სიცილიაზე

მას ძლიერ აკრიტიკებდნენ. ნაკრები გუნდის თამაში ბოლო ხანებში ვერაფერი სანახავი იყო. შედეგებიც, ცხადია, არასახარბიელო. იტალიელთათვის ყველაფერი კარგად დასრულდა — გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა, თუმცა, სანამ „სკუადრა აძურა" ამას მოახერხებდა, აპენინელებმა გვარიანად ინერვიულეს.

ნეაპოლში იტალიამ პლეი-ოფის საპასუხო მატჩში რუსეთი 1:0 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავიდა. ნაკრების მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ კი განაცხადა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატამდე საკმარი დრო გვაქვს, გუნდის გადახალისებას შევეცდებიო.

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ექვს თვეზე ოდნავ ნაკლებია დარჩენილი, მონაწილეები კი, მათ შორის იტალიაც, შეთამაშებას და გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელების შერჩევას ამხანაგურ მატჩებში ცდილობენ. პირველი ასეთი მატჩი „სკუადრა აძურას" 28 იანვარს შინ, სიცილიაზე აქვს დაგეგმილი. მეტოქე სლოვაკეთის არცთუ ძლიერი გუნდია. ჰოდა, ჩეზარე მალდინმაც, რომელიც მალე 66 წლის გახდება, ნაკრებში ახალ ფეხბურთელებს უხმო.

დებიუტანტი „სკუადრა აძურაში" მხოლოდ ფრანჩესკო მორიეროა, რომელმაც „ინტერში" შესანიშნავი თამაშით უდავოდ დაიმსახურა ნაკრებში მოხვედრა. მორენო ტორიჩელის მალდინის ნაკრებში არასდროს უთამაშია, თუმცა, საკის დროინდელ გუნდში 5 მატჩი აქვს ჩატარებული. გუნდშია „რომას" ლუიჯი დი ბიაჯო, რომელიც მალდინის ინგლისელებთან მატჩის წინაც ჰყავდა გამოძახებული, მაგრამ მაშინ მას არ უთამაშია.

ყველას გასაოცრად, ნაკრებში ადგილი არ გამოიძებნა ჯანფრანკო ძოლასა და კრისტიან ვიერისთვის. მწვრთნელმა ეს მათი კონკურენტების გაცილებით უკეთესი ფორმით ახსნა. ვერ ითამაშებს იტალიელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამყვანი კაზირაგი, რომელიც ტრავმირებულია. ძოლას და ვიერის დარად მალდინიმ არც პალიუკას დაუძახა, პერუცის სათადარიგოდ კი „პარმას" 19 წლის მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მიიწვია, რომელიც 28-ში 20 წლისა გახდება.

რაც შეეხება ნაკრებში გამოძახებულებს, მათი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა). მცველები — ფაბიო კანავარო (პარმა), ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი (მილანი), ჩირო ფერარა, მორენო ტორიჩელი (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა (ლაციო). ნახევარმცველები — სანდრო კოისი (ფიორენტინა), დემეტრიო ალბერტინი (მილანი), დინო ბაჯო (პარმა), ლუიჯი დი ბიაჯო (რომა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), რობერტო დე მატეო (ჩელსი), ფრანჩესკო მორიერო (ინტერი). თავდამსხმელები— ენრიკო კიეზა (პარმა), ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), ფაბრიციო რავანელი (მარსელი).

იმავე დღეს, როცა იტალია სლოვაკეთს უმასპინძლებს, საფრანგეთის დედაქალაქში ახალი, თანამედროვე სტადიონის „სენ დენის" გახსნისადმი მიძღვნილი მატჩი გაიმართება. ფრანგები ესპანელებს უმასპინძლებენ. გუნდების შემადგენლობები ადრე გაცნობეთ, ამიტომ მათ გამეორებას აღარ შევუდგებით, უბრალოდ, მეტოქეთა ბანაკებში მომხდარ ცვლილებებზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით.

ესპანელებს, რომელთაც იმ კვირაში მცველი ფერნანდო იერო გამოაკლდათ, არც მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელი კიკო ეყოლებათ, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო ტურში თანაგუნდელ ჟუნინიოსთან შეტაკებისას მუხლი დაიზიანა. ექიმებს საბოლოოდ არაფერი გადაუწყვეტიათ, მაგრამ ამბობენ, კიკო დაახლოებით თვე ვერ იბურთავებსო.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, ემე ჟაკემ ეტყობა იფიქრა, დეშამპი რომ ვერ გამოჯანმრთელდეს, თავს დავიზღვევო და გუნდში ლონდონის „არსენალის" პატრიკ ვიეირას უხმო. დეშამპს ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული და მისი ნაკრებში თამაში ძლიერ საეჭვოა.

# მათ უნდათ ფული

მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ შორია. მანამდე გუნდები ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. ბელგიას კი, მართალია, ამხანაგური არ უთამაშია, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებები წამოიწყო, ფეხბურთელებს ამხანაგურ მატჩებში ნაკრების შემადგენლობაში თამაშისთვის, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პრემიები უნდათო.

ფეხბურთელთა სახელით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების კაპიტანმა ფრენკი ვან დერ ელსტმა მიმართა. საგანგებოდ ამ საკითხის გამო მოწყობილ შეხვედრაზე ფედერაციის წარმომადგენელმა გვიდო დე ვინდტმა განაცხადა, გვესმის, რომ მოთამაშეთა მოთხოვნები სამართლიანია, ნაკრებში გამოძახება მათ ფინანსური თვალსაზრისით არაფერს აძლევს, კლუბებში კი ანაზღაურება საკმაოდ მაღალიაო. დე ვინდტისავე თქმით, მოთამაშეებს ფული იმ შემთხვევაშიც სდომებიათ, თუ მათ გვარებს ან ფოტოსურათებს რაიმე სარეკლამო კამპანიისთვის გამოიყენებენ.

# ტელეფული გერმანიაშიც ბრძოლის საგანია

გერმანიაში საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციათა უფლებებზე ერთი ამბავია ატეხილი. საქმეში ევროკავშირიც კი ჩაერია და ქვეყნის ხელმძღვანელები გააფრთხილა ფეხბურთს საერთაშორისო და საზოგადო წეს-კანონებიდან ნუ მოკვეთავთ, თორემ დაგსჯითო. საქმე იქამდე მივიდა, რომ კანცლერმა ჰელმუტ კოლმა საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელები დაიბარა და გერმანიის კანონებში ცვლილებათა შეტანაზე ეთათბირა. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპულ შეჯიბრებათა ტრანსლაციის უფლება ერთპიროვნულად და უპირობოდ ეკუთვნის საფეხბურთო კავშირს, ფედერალურმა სასამართლომ კი დაადგინა, რომ ეს მართებული არაა.

— ჩვენ მეტად გულგატეხილნი ვართ, რადგან დავინახეთ, რომ ბონში, უმაღლეს დონეზე აქვთ შემუშავებული გეგმა, რომლის თანახმადაც სპორტის, პირველყოვლისა კი ფეხბურთის კონკურენციისგან მოკვეთას ლამობენ — განაცხადა პრესკონფერენციაზე ევროკონკურენციის შეფმა კარელ ვან მიერტმა.

— არსებობს ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ სტატია 85, რომლის დარღვევაც გერმანიას შეიძლება ძვირად დაუჯდეს. პროფესიული სპორტი კონკურენციის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს. მისი მოკვეთა დაუშვებელია — ეს ვან მიერტის პრეს-ატაშეს სიტყვები გახლავთ.

სტატია 85 კრძალავს პატიოსანი კონკურენციის საწინააღმდეგო გარიგებებს. ევროკავშირის შესაბამისმა კომისიამაც ნათლად განაცხადა, რომ სპორტს ჩვეულებრივ ბიზნესად მიიჩნევს და იგი კონკურენციის ნორმებს უნდა ექვემდებარებოდეს. იგივე აზრი გაიზიარა გერმანიის „ბუნდესკარტელლამტმაც", რომელმაც საერთაშორისო მატჩების ტრანსლირების უფლების საფეხბურთო კავშირის მიერ მონოპოლიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრა. მისმა შეფმა დიტერ ვოლფმა განაცხადა, ბუნდესლიგის თამაშების გადაცემის საკითხებსაც ჩავუჯდებით.

თავის მხრივ საფეხბურთო კავშირი ამბობს, სასამართლოს დადგენილება ახალგაზრდულ ფეხბურთს და მცირე კლუბებს დიდ ზიანს მოუტანსო.

ვან მიერტის პრეს-ატაშეს თქმით, კომისია დაიცდის და ნახავს, რა ზომებს მიიღებს გერმანიის სასამართლო.

აღშფოთებულნი არიან დიდი კლუბებიც. ისინიც საფეხბურთო კავშირის წინააღმდეგ ილაშქრებენ, რადგან უჯობთ თავიანთი თამაშების ტელეტრანსლაციის უფლება თავადვე გაყიდონ. ვერც არაკომერციული ტელეკომპანიები გადასცემენ ფეხბურთის რეპორტაჟებს. მათ თავიანთი სატკივარი აქვთ, მაგრამ პოლიტიკოსთა იმედზე არიან. პოლიტიკოსებმა ხომ პოპულისტური თემა იგდეს ხელთ: მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიადა ყველასთვის მისაწვდომი უნდა იყოს.

## ფეხბურთის რუკასთან



**ჰოლანდიის** ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა, ამსტერდამის „აიაქსმა", რომელიც ამჟამად გერმანიაშია შეკრებაზე, მეორე ამხანაგური მატჩი გამართა, ამჯერად „შტუტგარტთან" და 0:4 დამარცხდა. მასპინძელთაგან ვან დერ სარის კარი ბობიჩმა ორჯერ, ბალაკოვმა და აკპობორიმ დალაშქრეს. ამასობაში გაირკვა, რომ მომავალ სეზონში „აიაქსში" მიქაელ ლაუდრუპს უმცროსი ძმა, ბრაიანი შეცვლის. მიქაელი სეზონის ბოლოს დანიურ „კოპენჰაგენში" გადავა და ხანგრძლივ კარიერას სწორედ იქ დაასრულებს.

**იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას"** **ნიჭიერი ნახევარმცველი ზორან ნიგუსი მომავალ სეზონში „იუვენტუსში" ითამაშებს. 24 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ჯერ ქვეყნის ნაკრებში არ უთამაშია, იტალიურ გუნდს უკვე შეუთანხმა კონტრაქტის პირობები.**

**შოტლანდიის** „სელტიკის" ყოფილი მწვრთნელი ბილი მაკნილი, რომელსაც გლაზგოს კლუბის შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონატის 832 მატჩში უასპარეზია, შეიდწლიანი შესვენების შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა. უშედეგობის გამო „სელტიკიდან" 1991 წელს წასული მაკნილი დღეიდან შოტლანდიის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ჰიბერნიანს" უთავკაცებს.

**აშშ-ს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში გათვალისწინებული ამხანაგური მატჩებიდან პირველშივე იმარჯვა. ამერიკელებმა ორლანდოში შვედებს უმასპინძლეს და როი ვეგერლეს ერთადერთი გოლის წყალობით გამარჯვება მოიპოვეს.**

**ფრანგი** ერიკ კანტონა „ოლდ ტრაფორდს" თებერვალში დაუბრუნდება. „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ლიდერი ვარსკვლავთა ნაკრებს უკაპიტნებს მატჩში, რომელიც 1958 წელს მიუნხენში მომხდარი საშინელი ავიაკატასტროფის 40 წლისთავის მიეძღვნება. მაშინდელმა ტრაგედიამ ხომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარზე მეტ ფეხბურთელთა სიცოცხლე შეიწირა.

**ნამიბიის ნაკრებმა კოსაფა კასლის თასის გათამაშებიდან დამატებით დროში გატანილი ოქროს გოლის წყალობით გამოთიშა სამხრეთ აფრიკის გუნდი. დამატებითი დროის მე-10 წუთზე შეცვლაზე შესულმა ბერდინ აუჩემეზმა იყოჩაღა და ნამიბიამაც თასისკენ სვლა განაგრძო. შეხვედრა 3:2 დასრულდა.**

**ჰოლანდიის** „ფეიენოორდმა" შესაძლოა უახლოეს დღეებში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან" ნიკოლა ლაზეტიჩი შეიძინოს. 19 წლის ფეხბურთელით ორიოდ თვის წინ „ეინდჰოვენი" იყო დაინტერესებული.

**ინგლისის** **პირველი დივიზიონის აუტსაიდერ „პორტსმუთს" ამიერიდან მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონი ალან ბოლი უთავკაცებს. ბოლის მწვრთნელობის დროს, ორიოდ სეზონის წინ „მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგიდან გავარდა.**

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა შაბათს, მორიგი ტურის წინ, მილანის „ინტერის" ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო მსაჯებზე ზედმეტი ლაყბობისთვის 1150 დოლარით დააჯარიმა. იმავე კომიტეტმა „ფიორენტინას" პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის 17 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა, თანაც თავისი მოვალეობის შესრულება ერთი თვით აუკრძალა.

**პარაგვაის** **პრეზიდენტმა ხუან ვესმოსიმ განაცხადა, ქვეყნის მთავრობა ფეხბურთის ფედერაციას ყველანაირად შეუწყობს ხელს, პარაგვაიმ 1999 წელს „კოპა ამერიკას" ღირსეულად რომ უმასპინძლოს. მან ეს სიტყვები პარასკევს ასუნსიონში წარმოთქვა, სადაც სამხრეთ ამერიკის კონფედერაციის ახალი შტაბ-ბინა გაიხსნა. 3,5 მილიონ დოლარად ღირებული შენობის გახსნას ფიფას პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟი, ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიც ესწრებოდნენ.**

**ინგლისის** პრემიერლიგიდან გავარდნილმა „სანდერლენდმა" ამ დღეებში გენუის „სამპდორიადან" მილიონ 200 ათას დოლარად 23 წლის თავდამსხმელი დანიელე დიჩიო შეიძინა. იტალიელი ფეხბურთელს, ადრე ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსშიც" უთამაშია.

**შოტლანდიის თასის გათამაშების მესამე წრის მატჩები: ერდრი — როს ქაუნთი 2:2, ელოპი — ეირ იუნაიტედი 0:3, სელტიკი — მორტონი 2:0, დამბერტონი — მოზერველი 1:1, დანდი იუნაიტედი — აბერდინი 1:0, დანფერმლაინი — ედინბურგი 7:2, ჰამილტონი — რეინჯერსი 1:2, ჰარტსი — კლაიდბანკი 2:0, ჰიბერნიანი — რეით როვერსი 1:2, ინვერნესი — უნენი 8:1, ლივინგსტონი — ალბიონ როვერსი 3:3, ქუინზი — სტერლინგ ალბიონი 1:3, სენტ ჯონსტონი — პარტიკი 1:0, სტენჰაუზმიური — ფალკირკი 1:3, სტრენრერი — კილმარნოკი 0:2, დანდი — სენტ მირენი 4:2. მეოთხე წრის კენჭისყრა: სენტ ჯონსტონი — სტერლინგ ალბიონი, რეით როვერსი — ფალკირკი, ეირ იუნაიტედი — კილმარნოკი, ჰარტსი — ლივინგსტონი ან ალბიონ როვერსი, დანფერმლაინი — სელტიკი, დამბერტონი ან მოზერველი — რეინჯერსი, დანდი იუნაიტედი — ივერნესი, ერდრი ან როს ქაუნთი — დანდი.**

**ფრანგმა** ნახევარმცველმა ზინედინ ზიდანმა პრემიერლიგის რამდენიმე გუნდის წინადადება უარყო და „იუვენტუსთან" ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ზიდანი ამიერიდან 2004 წლამდე „იუვენტუსის" საკუთრებაა. ფეხბურთელმა განაცხადა, „იუვენტუსში" თავს კარგად ვგრძნობ, მათ დარჩენა მთხოვეს და მეც დავყაბულდიო.

**ირლანდიის ნაკრების კაპიტანმა რობი ერლიმ შესაძლოა, ნაკრების რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამოტოვოს ტრავმის გამო. „უიმბლდონის" ნახევარმცველმა მუხლის ტრავმა შაბათ ინგლისის თასის გათამაშების მესამე წრეში, „ჰადერსფილდთან" თამაშისას მიიღო.**

**იუგოსლავიის** „ნოვი სადის" თავდამსხმელმა დამირ სტოიაკმა ძლიერ გარისკა, როცა ხორვატიის „კროაციასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ნოვი სადი" ამჟამად მალტაში გადის წვრთნას და ტრანსფერიც სწორედ იქ შედგა. 1991 წელს ხორვატია იუგოსლავიას გამოეყო, სტოიაკი კი პირველი ფეხბურთელია დაპირისპირებული ქვეყნების კლუბები ერთმანეთში რომ გაცვალა.

**ინგლისის „ტოტენჰემის" თავდამსხმელი ლეს ფერდინანდი თასის გათამაშების მეოთხე წრის მატჩში „ბარნსლისთან" მწვრთნელმა კრისტიან გროსმა შეცვალა. გუნდის თავკაცის გადაწყვეტილებამ ფორვარდი ისე გააბრაზა, რომ მთელი ნახევარი საათი გასახდელში უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა. გროსმა ფერდინანდი ძირითადში გაამწესა კლინსმანთან ერთად, მაგრამ ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა ხეირიანად ვერ ითამაშა და კალდერვუდით შეცვალეს. ფერდინანდს უკვე რამდენიმე თვეა, „ტოტენჰემის" შემადგენლობაში გოლი არ გაუტანია. გროსმა განაცხადა, მწვრთნელი მე ვარ და ვინ ვათამაშო და ვინ არა, ჩემი საქმეა, ფეხბურთელების ჭკუაზე რომ ვიარო, მაშინ გუნდის თავკაცი არ მერქმეოდაო.**

## საბერძნეთი

მე-19 ტური. აპოლონი — პანათინაიკოსი 2:5; პრუდეფტიკი — აეკი 3:2; ოლიმპიაკოსი — ათინაიკოსი 4:0; პაოკი — ოფი 1:0; კალამატა — ქსანტი 1:2; კავალა — ეთნიკოსი 2:1; პანახაიკი — იონიკოსი 0:1; ვერია — ირაკლისი 0:1; პანიონისი — პანილიაკოსი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 16 | 1 | 2 | 52:15 | 49 |
| აეკი | 19 | 15 | 2 | 2 | 40:17 | 47 |
| პანათინაიკოსი | 19 | 15 | 1 | 3 | 45:14 | 46 |
| პაოკი | 19 | 12 | 4 | 3 | 34:19 | 40 |
| იონიკოსი | 19 | 11 | 4 | 4 | 31:18 | 37 |
| ირაკლისი | 19 | 10 | 4 | 5 | 24:19 | 34 |
| ქსანტი | 19 | 8 | 3 | 8 | 34:34 | 27 |
| ოფი | 19 | 8 | 3 | 8 | 25:32 | 27 |
| აპოლონი | 19 | 7 | 4 | 8 | 21:25 | 25 |
| პანიონისი | 19 | 7 | 2 | 10 | 25:26 | 23 |
| პანილიაკოსი | 19 | 5 | 6 | 8 | 25:31 | 21 |
| პრუდეფტიკი | 19 | 5 | 4 | 10 | 20:35 | 19 |
| პანახაიკი | 19 | 6 | 1 | 12 | 18:33 | 19 |
| ვერია | 19 | 5 | 2 | 12 | 21:33 | 17 |
| ეთნიკოსი | 19 | 5 | 1 | 13 | 12:27 | 16 |
| ათინაიკოსი | 19 | 4 | 3 | 12 | 14:30 | 15 |
| კალამატა | 19 | 3 | 4 | 12 | 11:27 | 13 |
| კავალა | 19 | 3 | 3 | 13 | 22:39 | 12 |

## ისრაელი

მე-16 ტური. ირონი (აშდოდი) — ბეითარი 0:4; მაკაბი (ფეთახ თიქვა) — ჰაპოელი (ჰაიფა) 0:0; ბნეი იეჰუდა — ჰაპოელი (ბეერშევა) 1:1; მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ფეთახ თიქვა) 2:1; ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (ჰერცლია) 1:0; ჰაპოელი (ქფარ სავა) — მაკაბი (თელ ავივი) 1:1; ჰაპოელი (ბეით შეანი) — ირონი (რიშონი) 3:1; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (აშკელონი) 3:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეითარი | 16 | 10 | 6 | 0 | 40:16 | 36 |
| ჰ. თელ ავივი | 16 | 10 | 5 | 1 | 16:6 | 35 |
| მ. ჰაიფა | 16 | 9 | 3 | 4 | 29:18 | 30 |
| ჰ. ჰაიფა | 16 | 8 | 6 | 2 | 26:15 | 30 |
| ჰ. ფეთაჰ თიქვა | 16 | 8 | 3 | 5 | 24:19 | 27 |
| ჰ. იერუსალიმი | 16 | 5 | 7 | 4 | 21:22 | 22 |
| ჰ. ქვარ სავა | 16 | 6 | 4 | 6 | 20:21 | 22 |
| ირონი აშდოდი | 16 | 5 | 7 | 4 | 21:23 | 22 |
| მ. ჰერცლია | 16 | 4 | 6 | 6 | 20:20 | 18 |
| მ. თელ ავივი | 16 | 4 | 5 | 7 | 17:20 | 17 |
| მ. ფეთაჰ თიქვა | 16 | 3 | 8 | 5 | 10:14 | 17 |
| ირონი რიშონი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:25 | 17 |
| ჰ. ბეით შეანი | 16 | 3 | 5 | 8 | 16:25 | 14 |
| ჰ. აშკელონი | 16 | 3 | 4 | 9 | 16:27 | 13 |
| ბნე იეჰუდა | 16 | 2 | 6 | 8 | 13:21 | .12 |
| ჰ. ბეერშევა | 16 | 1 | 6 | 9 | 16:32 | 9 |

## ბელგია

მე-19 ტური. მოლენბეკი — ანდერლეხტი 2:2; ვესტერლო — ბრიუგე 2:2; გენტი — მუსკრონი 0:0; სტანდარდი — შარლერუა 2:0; გენკი — ლოკერენი 1:0; ლიერსი — ეკერენი 1:1; ანტვერპენი — აალსტი 1:1; ბევერენი — ლომელი 2:2; ჰარელბეკი — სტ. ტრუიდენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 19 | 16 | 3 | 0 | 49:13 | 51 |
| გენკი | 19 | 12 | 3 | 4 | 41:23 | 39 |
| ჰარელბეკი | 19 | 9 | 8 | 2 | 36:20 | 35 |
| ეკერენი | 19 | 10 | 4 | 5 | 32:22 | 34 |
| ლომელი | 19 | 8 | 5 | 6 | 31:26 | 29 |
| ანდერლეხტი | 19 | 8 | 5 | 6 | 27:23 | 29 |
| ლოკერენი | 19 | 9 | 0 | 10 | 36:40 | 27 |
| ლიერსი | 19 | 7 | 5 | 7 | 31:27 | 26 |
| აალსტი | 19 | 7 | 4 | 8 | 32:32 | 25 |
| სტ. ტრიუდენი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:23 | 24 |
| გენტი | 19 | 5 | 8 | 6 | 29:28 | 23 |
| შარლერუა | 19 | 6 | 5 | 8 | 25:35 | 23 |
| სტანდარდი | 19 | 5 | 7 | 7 | 26:27 | 22 |
| ვესტერლო | 19 | 5 | 7 | 7 | 28:36 | 22 |
| მუსკრონი | 19 | 5 | 5 | 9 | 19:25 | 20 |
| ბევერენი | 19 | 3 | 6 | 10 | 19:33 | 15 |
| მოლენბეკი | 19 | 4 | 3 | 12 | 22:51 | 15 |
| ანტვერპენი | 19 | 2 | 4 | 13 | 21:38 | 10 |

## თურქეთი

მე-19 ტური. ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი 3:1; ქარაბუქი — ისთანბული 0:1; ფენერბაჰჩე — სამსუნი 0:0; ვანსფორი — ტრაბზონი 0:2; ბურსა — გალათასარაი 3:2; ანკარაგიუჯიუ — ქაისერი 6:3; ანთალია — გაზიანთეფი 2:1; დარდანელი — შექერსფორი 4:1; ქოჯაელი — ალთაი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 19 | 12 | 4 | 3 | 33:14 | 40 |
| ტრაბზონი | 19 | 12 | 4 | 3 | 36:19 | 40 |
| ისთანბული | 19 | 10 | 6 | 3 | 37:20 | 36 |
| გალათასარაი | 19 | 11 | 3 | 5 | 42:26 | 36 |
| ბეშიქთაში | 19 | 9 | 6 | 4 | 37:21 | 33 |
| ბურსა | 19 | 9 | 4 | 6 | 29:25 | 31 |
| დარდანელი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:20 | 27 |
| ქარაბუქი | 19 | 8 | 3 | 8 | 19:25 | 27 |
| სამსუნი | 19 | 7 | 5 | 7 | 24:22 | 26 |
| ქოჯაელი | 19 | 6 | 6 | 7 | 24:22 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 6 | 5 | 8 | 22:26 | 23 |
| ალთაი | 19 | 6 | 4 | 9 | 21:31 | 22 |
| გაზიანთეფი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:26 | 20 |
| ანთალია | 19 | 5 | 5 | 9 | 28:35 | 20 |
| შექერსფორი | 19 | 5 | 5 | 9 | 21:41 | 20 |
| ქაისერი | 19 | 5 | 4 | 10 | 18:30 | 19 |
| გენჩლერბირ. | 19 | 4 | 6 | 9 | 17:21 | 18 |
| ვანსფორი | 19 | 1 | 5 | 13 | 14:45 | 8 |

## პორტუგალია

მე-18 ტური. ამადორა — მარიტიმუ 1:1; პორტუ — ვარზიმი 4:3; ლეცა — სალგეირუში 3:0; კამპომაიორენსე — ბენფიკა 1:2; სეტუბალი — ბოავიშტა 1:2; აკადემიკა — გიმარაეში 2:1; სპორტინგი — ფარენსე 3:2; რიუ ავე — შავეში 1:0; ბრაგა — ბელენენსეში 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 18 | 14 | 4 | 0 | 43:18 | 46 |
| გიმარაეში | 18 | 10 | 2 | 6 | 24:13 | 32 |
| სპორტინგი | 18 | 8 | 7 | 3 | 21:12 | 31 |
| რიუ ავე | 18 | 9 | 4 | 5 | 26:21 | 31 |
| ბენფიკა | 18 | 8 | 6 | 4 | 26:17 | 30 |
| მარიტიმუ | 18 | 7 | 4 | 7 | 20:20 | 25 |
| ლეცა | 18 | 7 | 4 | 7 | 20:20 | 25 |
| სალგეირუში | 18 | 6 | 6 | 6 | 21:20 | 24 |
| ამადორა | 18 | 6 | 6 | 6 | 20:22 | 24 |
| ბოავიშტა | 18 | 5 | 8 | 5 | 18:18 | 23 |
| კამპომაიორ. | 18 | 6 | 5 | 7 | 25:26 | 23 |
| ბრაგა | 18 | 5 | 8 | 5 | 24:25 | 23 |
| სეტუბალი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:20 | 21 |
| ფარენსე | 18 | 4 | 8 | 6 | 21:25 | 20 |
| აკადემიკა | 18 | 4 | 7 | 7 | 15:19 | 19 |
| ვარზიმი | 18 | 4 | 6 | 8 | 14:28 | 18 |
| შავეში | 18 | 3 | 2 | 13 | 13:29 | 11 |
| ბელენენსეში | 18 | 1 | 7 | 10 | 10:28 | 10 |

# ავსტრალიას იმედი ბოდიშში გაუცვალეს

**ავსტრალიის ღია პირველობა.**
**მელბურნი. „რიბაუნდ ეისი“.**
**საპრიზო ფონდი 7,4 მილიონი $**

ზედიზედ ორი უმძიმესი შეხვედრის შემდეგ მასპინძელთა იმედი პატრიკ რაფტერი მესამე წრეში თიხნარის ოსტატ ალბერტო ბერასატეგისთან იოლ გასეირნებას ელოდა, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, ესპანელი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. მატჩის შუაგულში ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი ოფლად იყო გაღვრილი, რეზინის საფარისგან დაკორძებულ ფეხის თითებს წარამარა იხვევდა, მარჯვენა ფეხზე გაჩენილი ჭრილობიდან სისხლი სდიოდა და კორტზე ადგილ-ადგილ გუბეებს ტოვებდა. ბადის მეორე მხარეს კი უცნაური აღნაგობის დაბალ ესპანელს დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა, აუღელვებელი კაცის იერით აგრძელებდა თავისი ხელუკულმა, საოცარი ფორჰენდების მიზანში გზავნას და მისი მეტოქის მხარდასაჭერად განუწყვეტლივ მოღრიალე 15 ათასი კაცის არად ჩაგდებას. არადა, სუსტი მოწოდების, კიდევ უფრო უარესი ბექჰენდის და მარჯვენიდან არატრადიციულად დარტყმები პატრონი ბერასატეგი თითქოს წინასწარ იყო განწირული მძლავრ ოზთან დასამარცხებლად, მით უმეტეს, რომ ავსტრალიის ღია პირველობამდე ერთი კვირით ადრე იმავე მეტოქესთან სულ იოლად წაეგო. ყველაფერიც აქეთკენ მიდიოდა — რაფტერმა პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო, მეორეში ბრეიკი გააზერხა და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ საქმის სწრაფად მოთავების ნაცვლად საკუთარი მოწოდებაც დაკარგა და კიდევ ერთი გადამწყვეტი გეიმის თამაში მოუხდა. ავსტრალიელი აქაც წინ გავიდა, თუმცა უპირატესობის მოპოვება ძვირად დაუჯდა — 5:4-ზე ბადესთან აკრობატულ ნახტომში ქულა კი ირგუნა, მაგრამ კორტს მთელი ძალით დაასკდა და მარჯვენა ფეხი ზემოთნახსენები იარით დაიმშვენა. რაფტერმა დიდი ბრძოლით მოპოვებული ორივე სეტ-პოინტი გაანიავა, ერთიც მოგეანებით ვერ გამოიყენა და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. მესამე სეტიდან უპირატესობას უკვე ბერასატეგი ფლობდა — კორტის უკანა ხაზზე მოკალათებული არცთუ მძლავრი, მაგრამ გრძელი, მოჭრილი დარტყმებით ავსტრალიელს უკან აყოვნებდა, მას შეტევისა და იოლი ქულების დაგროვების საშუალებას არ აძლევდა და ანგარიშსაც სტაბილურად ზრდიდა თავის სასარგებლოდ. მატჩის გადარჩენის შანსი რაფტერს მაინც ჰქონდა, მაგრამ სეტ-პოინტი მეოთხე პარტიაშიც ვერ გამოიყენა და თავისიანებს მელბურნის ტურნირის ავსტრალიელ ჩემპიონზე ოცნება საგაისოდ გადაუდო — 7:6 (7:2), 6:7 (7:9), 2:6, 6:7 (4:7). „მთელი მატჩი თითქოს შენელებული კადრივით გადიოდა ჩემს თვალწინ, ალბერტოს დარტყმების შემდეგ ბადესთან გასვლა თითქმის შეუძლებელი იყო. თავს ახლაც კარგად ვგრძნობ, მაგრამ წინა ორმა თამაშმა ემოციურად გამომფიტა“ — თქვა რაფტერმა თამაშის შემდეგ — სამაგიეროდ, ახლა თევზაობისა და ლუდის სმის შესაძლებლობა მომეცა. ბერასატეგიმ კი დამტვრეული ინგლისურით — „აი ემ სორიი“, ამოღერღა, ვიცი, ყველას რაფტერ-აგასის თამაშის ნახვა გინდოდათ მერვედფინალში და ბოდიშს გიხდით, იმედი რომ გაგიცრუეთო. სხვათა შორის, ბერასატეგი „როლან გაროსის“ ფინალში ჩასვლის შემდეგ 1994-ში დიდი სლემის ტურნირზე მესამე წრეს არ გასცდენოდა.



მარტინა ჰინგისი

რაფტერის მარცხმა მკვეთრად აღმდგარ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ანდრე აგასის , წესით და რიგით, ფინალისკენ უნდა გაუხსნას გზა. ამ უკანასკნელმა შაბათსაც აჩვენა, რომ ჩინებულ ფორმაშია და მესამე წრეში ოდენ 67 წუთში იტალიელი ანდრეა გაუდენცი გაანადგურა 6:2, 6:2, 6:0. ანდრემ 6 ეისი მოაწოდა, ამასთან მხოლოდ ერთი ორმაგი და ალბერტო კოსტასთან მეორე წრის შეხვედრაზე ორჯერ ნაკლები უნებლიე შეცდომა დაუშვა. „თანდათან უკეთ ვთამაშობ და, რაც მთავარია, საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნდა“. — განაცხადა ამერიკელმა და ბოლოდროინდელი წარმატებების სულისჩამდგმელად მეუღლე, ერთ დროს ჩვენთანაც უსაზღვროდ პოპულარული ცისფერლაგუნელი — ბრუკ შილდსი დაასახელა. რაფტერის წაგების შემდეგ ავსტრალიელმა ბუკმეიკერებმა გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად სამპრასის მერე აგასი შერაცხეს და მის მოგებაზე 7:2-ს ჩამოდიან, მესამე ადგილზე კი პრეტენდენტთა სიაში ჩეხი პეტრ კორდაა — 10:1. რაფტერის მარცხის მიუხედავად, მასპინძლებს მერვედფინალში საგულშემატკივრო კაცი მაინც შერჩათ: „ვუდების“ სახელგანთქმული წყვილის უმცროსმა მენახევრემ, ტოდ ვუდბრიჯმა კაცებში უსწრაფესად მომწოდებელი, ინგლისელი გრეგ რუზეცკი (5) ბრწყინვალე მიღებებითა და ბადესთან ხშირი გასვლებით დაჩაგრა 7:6 (7:5), 6:4, 6:2. რუზეცკიმ საკუთარ თამაშს საზიზღარი უწოდა, ვუდმა კი თავისიანებს ქომაგობისთვის მადლობა უთხრა, მათ დააფასეს, რომ პატარა კაცი კორტზე გოლიათს ეომებოდა და ზოგჯერ სულელურ მდგომარეობაშიც კი აყენებდა. რუზეცკის დამარცხებამ ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობა გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანა — აქამდე დიდი სლემის ტურნირის მერვედფინალებში ასე ცოტა, 4 განთესილი, თურმე არასოდეს გასულა.

**მესამე წრე: მარსელო რიოსი (9, ჩილე) — ენდრიუ ილიე (ავსტრალია) 6:2, 6:3, 6:2; გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 6:2, 7:5; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 7:5, 4:0 ტრავმა; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — რიჩი რენებერგი (აშშ) 1:6, 6:7 (0:7), 6:2, 7:5, 6:4; ლიონელ რუ (საფრანგეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 7:6 (7:2), 6:2, 6:4.**

ანა კურნიკოვას ყველა გზა მარტინა ჰინგისისკენ მიდის. 16 წლის რუსი, აგერ უკვე ზედიზედ მესამე დიდი სლემის ტურნირზე, თავის სატურნირო მოგზაურობას მსოფლიოს პირველ ჩოგანთან შეხვედრით ამთავრებს. მაგრამ თუ აქამდე, „როლან გაროსის“ მესამე წრესა და უიმბლდონის ნახევარფინალში, ძირითადად ცალკარა თამაში წარიმართა, ამჯერად მელბურნის ცენტრალური კორტი ჩემპიონისა და ღირსეული პრეტენდენტის, ალბათ, არა უკანასკნელი ბრძოლის მოწმე შეიქნა. მეტოქეები უკანა ხაზიდან ხანგრძლივ და მძლავრ გათამაშებებს ბადესთან ეფექტურ გასვლებსა და შემოკლებულებს უნაცვლებდნენ, თუმცა ქულების ლამაზად მოპოვების სურვილმა რუსი არაერთხელ აზარალა. პირველი სეტი ჰინგისმა მოიგო. მეორეში, 5:4-ზე, კურნიკოვამ მეტოქეს მოწოდება აართვა და საერთო ანგარიში გაათანაბრა, გადამწყვეტ პარტიაში კი ჩოგბურთელებმა რამდენიმე ბრეიკი გაცვალეს, თუმცა მელბურნში უსაშველოდ პოპულარულმა კურნიკოვამ შეცდომებს თანდათან მოუხშირა და, ბოლოს და ბოლოს, დაისაჯა კიდეც — ჰინგისმა მატჩი უმძლავრესი სმეშით დაასრულა — 6:4, 4:6, 6:4. რუსმა საკუთარი მარცხი გამოუცდელობას დააბრალა, ჰინგისმა კი, რომელმაც მელბურნში 1996 წლის მეოთხედფინალის შემდეგ პირველი სეტი დათმო, თავისი თამაშით უმაყოფილება გამოთქვა და დაამატა, ანამ მატჩი თავად წააგოო. ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელმა ფინალისტმა, მარი პირსმა (5) ბელარუს ოლგა ბარაბანშიკოვასთან შეხვედრის პირველ სეტში იმაზე მეტი გეიმი წააგო, ვიდრე ორ წრეში ერთად, მაგრამ უამრავი შეცდომის მიუხედავად, საჭირო მომენტში უკეთ გაისარჯა და მერვედფინალშიც გააღწია 7:5, 6:3. ქალებმა ამ დღეს მხოლოდ ერთი განთესილი მოისაკლისეს — ინდონეზიელმა იაუკ ბაზუკიმ ბელგიელი დომინიკ ვან რუსტი (14) დაამარცხა 6:4, 6:4.



გრეგ რუზეცკი

**მესამე წრე: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (7, ესპანეთი) — რიკა ჰირაკი (იაპონია) 6:2, 6:3; ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:7 (1:7), 7:5, 6:2; ანკე ჰუბერი (10, გერმანია) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 6:7 (4:7), 6:3, 6:2; აი სუგიამა (16, იაპონია) — მაგდალენა გრაჟიბოვსკა (პოლონეთი) 7:6 (7:5), 1:6, 6:4; ამანდა კუტციერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ანაბელ ლვუდი (ავსტრალია) 6:3, 6:1.**

კვირას მელბურნს ქარიშხალმა გადაუარა და ტურნირის ორგანიზატორებს ცენტრალური კორტის მოძრავი სახურავის გამოყენების შესაძლებლობა მიეცათ. სამაგიეროდ, წყვილებისა და ქალების მეოთხე წრის ბევრი შეხვედრა საორშაბათოდ გადაიდო. მეოთხედფინალის საგზური კაცებს შორის პირველმა ჩეხმა პეტერ კორდამ მოიპოვა, რომელმაც სახურავის ქვეშ შეფარებული ჩიტების თავდასხმები არაფრად ჩააგდო და შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტი სედრიკ პიოლინი დაამარცხა ოთხ სეტში 6:4, 6:4, 3:6, 6:3. მელბურნში პირველად გადაწყდა წინააღმდეგობას მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი. მაროკოელ ცაციას, ჰიშამ არაზის, რომელმაც მეორე წრეში მარკ ფილიპუსისი გამოთიშა ასპარეზობას, ამერიკელის პირველივე მოწოდებაზე სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თუმცა, ვერც ერთის გამოყენება მოახერხა, ისევე როგორც პირველი ხელის ტაი-ბრეიკზე გახერხებული სეტ-პოინტისა. სამპრასი უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა, მაგრამ მაროკოელმა ულამაზესი და, ერთი შეხედვით, შეუძლებელი დარტყმებით, მეტოქეცა და მაყურებელიც არაერთხელ გააოცა. საბოლოოდ მაინც ამერიკელმა მოიგო 7:6 (9:7), 6:4, 6:4, თუმცა, ტანდაბალი არაზი ავსტრალიელებმა ფეხზე ადგომითა და ხანგრძლივი ოვაციებით გააცილეს. სამპრასის მეტოქე მეოთხედფინალში სლოვაკი კაროლ კუჩერა იქნება, რომელმაც ამავე დღეს ავსტრალიელი რიჩარდ ფრომბერგი დაამარცხა 6:2, 3:6, 6:2, 7:5. კორდა კი ნახევარფინალში გასასვლელად მეოთხედ განთესილ შვედს — იონას ბიორკმანს შეებრძოლება, რომელმაც ძალზე იოლად მოუგო ზიმბაბველ ბაირონ ბლექს 6:2, 6:1, 6:4.

ქალებს შორის კვირას მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა და ორივეში გამარჯვება ძონძროხა, თუმც კი სხვადასხვა ფერის ამერიკელს დარჩა — ჯერ შავმა, 1,86 მეტრი სიმაღლის ვინუს უილიამსმა შვეიცარელი პატი შნიდერი დაჩაგრა 6:4, 6:1, მერე კი თეთრმა — 1,88 მეტრიანმა ლინდსი დევენპორტმა (2) 46 წუთში მეთხუთმეტედ განთესილი რუმინელი რუქსანდრა დრაგომირი გაანადგურა 6:0, 6:0.

**ავთანდილ სვანიძე**



# ცეცხლი ჭირვეულობს

ზამთრის ოლიმპიადამდე თითზე დასათვლელი დღეები რჩება, ნაგანოში ოლიმპიური სოფლის გახსნაც იზეიმეს, ოლიმპიურ ცეცხლსაც, რაც დრო გადის, მით უფრო უმოკლდება გზა ნაგანომდე. მაგრამ დახეთ უბედურებას — ცეცხლს თურმე ჩაქრობა ემუქრება, რადგან ვოლფგანგ გრეგორის თქმით, ჩირაღდანი ნაგანოსკენ გზასავალზე გამუდმებით ლაპლაპებდა და რამდენჯერმე ძლივს გადარჩა ჩაქრობას. ვოლფგანგ გრეგორი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მრჩეველია. 1988 წელს, კანადაში კალგარის ოლიმპიადის დროს, სწორედ მას ევალებოდა ცეცხლის პატრონობა.

ნაგანომდე ცეცხლმა 18 ათასი კილომეტრი უნდა გაიაროს. ამ გზის ნახევარი უკვე გავლილია, მაგრამ შიგას პრეფექტურის ქალაქ ოზუში შესვლისას ალმა ნელ-ნელა ქრობა იწყო. თანმხლებთა გუნდმა მის გადასარჩენად ყველაფერი იღონა. გრეგორიმ მათ ურჩია, ჩირაღდანში უფრო აალებადი ნივთიერებები ჩაემატებინათ.

ეს რაც ცეცხლს შეეხებოდა. ოლიმპიური სოფლის თავკაცობას კი უკვე გამოუყვია ადგილები სპორტული სუვენირებით სავაჭროდ. განსაკუთრებით დიდი ადგილი სამკერდე ნიშნებით მოვაჭრეებს დაეთმობათ. თურმე ნაგანოში ათასობით კოლექციონერი აპირებს ჩასვლას, რის გამოც იქაურობა კიდევ უფრო გადაიტვირთება.

**ჩეხეთის** ოლიმპიურმა კომიტეტმა ქვეყნის ეროვნული ნაკრების საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. 11 ნჰლ-ელის გარდა, ევროპაში მოთამაშე 12 ჰოკეისტიც იასპარეზებს ნაგანოში. შეგახსენებთ, რომ თავიდან ნაკრებში 12 „ამერიკელი“ იყო, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, ფილადელფიელი ვაცლავ პროსპალი მძიმედ დაშავდა.

## ჩეხეთი: ამერიკა + ევროპა

მეკარეები: რომან ჩეხმანეკი (ვშეტინი), დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო), მილან ჰნილიჩკა (სპარტა).

მცველები: რომან ჰამრლიკი (ედმონტონი), ფრანტიშეკ კუჩერა (სპარტა), ლიბორ პროჰაზკა (აიკ, შვედეთი), პეტრ სვობოდა (ფილადელფია), ირჟი შლეგრი (პიტსბურგი), რიხარდ შმეჰლიკი (ბუფალო) და იაროსლავ შპაჩეკი (ფერიესტადი, შვედეთი).

თავდამსხმელები: იოზეფ ბერნეკი, ირჟი დოპიტა (ორივე — ვშეტინი), იან კალოუნი (ჰიფკ, ფინეთი), მილან ჰეიდუკი (პარდუბიცე), იაროམირ იაგრი (პიტსბურგი), დავიდ მორავეცი (ვიტკოვიცე), პაველ პატერა (აიკ, შვედეთი), მარტინ პროჰაზკა (ტორონტო), ვლადიმერ ვუიტეკი (ტამპა), რობერტ რაიხელი (აილენდერსი), მარტინ რუჩინსკი (მონრეალი), ვლადიმერ რუჟიჩკა (სლავია), მარტინ სტრაკა (პიტსბურგი).

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჰოკეისტი, მაგალითად, კუჩერა, ბერანეკი, რუჟიჩკა და კალოუნი, ახლა ევროპაში რომ თამაშობენ, ადრე ნჰლ-ის კლუბებში ირიცხებოდნენ. ნაკრების უძლიერესი შემტევი სამეული კი ასე გამოიყურება: პაველ პატერა, ლიგის წლევანდელი დებიუტანტი პროჰაზკა და ვუიტეკი. სამწუხაროდ, ოლიმპიადაზე ვერ იასპარეზებს ნიუჯერსელი რობერტ ჰოლიკი, ამიტომ ახალგაზრდობისას სახელგანთქმულ იაგრ — რაიხელ — ჰოლიკის სამეულს მაყურებელი ვერ იხილავს.

## ფინეთი საკმაოდ ძლიერია

ფინეთის საოლიმპიადო ნაკრების 23 წევრიდან 4-ს, მათ შორის 2 მეკარეს, ნჰლ-ში არასდროს უთამაშია.

მეკარეები: იარმო მიულისი (ლულეო, შვედეთი), არი სულანდერი (იოკერიტი), იუჰა ტამი (ფრანკფურტი, გერმანია).

მცველები: აკი ბერგი (ლოს ანჯელესი), ტუომას გრონმანი (პიტსბურგი), იანე ლაუკანენი (ოტავა), იურკი ლუმე (ვანკუვერი), იანე ნიინიმა (ფილადელფია), ტეპო ნუმინენი (ფინიქსი) და კიმო ტიმონენი (ჰიფკ).

თავდამსხმელები: რაიმო ჰელმინენი (ილვესი), მიკა კაპანენი (კაროლინა), საკუ კოივუ (მონრეალი), იარი კური (კოლორადო), იერე ლეჰტინენი, იუჰა ლინდი (ორივე — დალასი), მიკა ნიუმინენი (იოკერიტი), ვილე პელტონენი (ფრელუნდა, შვედეთი), ტიმო რინტინენი (ტპს), ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი), ესა ტიკანენი (ფლორიდა),ანტი ტერმანენი (იოკერიტი), იუჰა ილონენი (ფინიქსი).

მსოფლიოს თასზე, რომელიც უძლიერეს პროფესიონალთა მონაწილეობის გამო ყველაზე პრესტიჟულ ტურნირად ითვლება, ფინელები ყოველთვის მოკრძალებულად ასპარეზობდნენ. ახლა კი, შესაძლოა, ეს უსიამოვნო ტრადიცია დაარღვიონ. ამაში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა უწყობთ ხელს.

## ხაბიბულინი თურმე შეაშინეს

იმის მიუხედავად, რომ ნჰლ-ში მოთამაშე ჰოკეისტთა ოლიმპიურ ნაკრებებში ჩარიცხვის საბოლოო ვადა პირველი დეკემბერი გახლდათ, ფინიქსის უძლიერესმა რუსმა მეკარემ, ნიკოლოზ ხაბიბულინმა, შესაძლოა, მაინც მოიპოვოს ამ ტურნირში გამოსვლის უფლება. რუსეთის ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელის ალექსანდრ სტებლინის თქმით, მეკარე თურმე ფინიქსის გენერალურმა მენეჯერმა ბობი სმიტმა აიძულა, უარი ეთქვა ნაგანოში გამგზავრებაზე.

## ლაფონტენმა იუბილე ისაგზლა

რეინჯერსელმა პეტ ლაფონტენმა ნაგანოში წასვლამდე იუბილის გადახდაც მოასწრო — სეზონში მე-19 გოლმა სახელოვან თავდამსხმელს კარიერაში მე-1000 ქულა მოუტანა. ეს კუთვნილი საზღაურია ჰოკეისტის ვაჟკაცობისა, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა ყინულს. პეტ ლაფონტენი აშშ-ში დაბადებული მესამე მოთამაშეა, ვინც ასეთ შედეგს მიაღწია. მანამდე ეს ჯო მულენმა და ფილ ჰაუსლიმ შეძლეს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29